



ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის ზედამხედველობის სამსახური
SERVICE FOR ACCOUNTING, REPORTING AND AUDITING SUPERVISION

ბრძანება

N 136
30/01/2019

შპს „აუდიტორული ფირმა FinLine“-ისთვის პასუხისმგებლობის დაკისრების თაობაზე

ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის ზედამხედველობის სამსახურის (შემდგომ - სამსახური) 2018 წლის 02 აპრილის N135 ბრძანებით შპს „აუდიტორული ფირმა FinLine“ (ს/კ 404913153) დარეგისტრირდა აუდიტორული ფირმების სახელმწიფო რეესტრში (SARAS-F-329711). შპს „აუდიტორული ფირმა FinLine“-ის სარეგისტრაციო განაცხადთან (N42144/21-11; 23.02.2018წ.) ერთად წარმოდგენილი პროფესიული პასუხისმგებლობის დაზღვევის პოლისის (N 000109) თანახმად, სადაზღვევო პერიოდი განისაზღვრებოდა 2017 წლის 22 დეკემბრიდან - 2018 წლის 22 დეკემბრამდე. აუდიტორული ფირმის მიერ განახლებული პროფესიული პასუხისმგებლობის დაზღვევის პოლისი (N AAL-000034), რომელიც გაცემულია 2018 წლის 18 დეკემბერს, სამსახურს წარედგინა 2019 წლის 10 იანვარს, აღნიშნული პოლისით სადაზღვევო პერიოდი განისაზღვრა 2018 წლის 20 დეკემბრიდან - 2019 წლის 19 დეკემბრამდე.

„ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“ საქართველოს კანონის (შემდეგში კანონი) მე-12 მუხლის მე-8 პუნქტის „ვ“ ქვეპუნქტის თანახმად, რეესტრში აუდიტორული ფირმის შესახებ უნდა იყოს ასახული ინფორმაცია პროფესიული პასუხისმგებლობის დაზღვევის, თანხისა და სადაზღვევო კომპანიის მითითებით.

„აუდიტორის/აუდიტორული (აუდიტური) ფირმის პროფესიული პასუხისმგებლობის დაზღვევის არსებითი პირობების და სადაზღვევო თანხის განსაზღვრის წესის დამტკიცების შესახებ“ ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის ზედამხედველობის სამსახურის უფროსის 2016 წლის 17 ოქტომბრის N12 ბრძანებით დამტკიცებული წესის მე-2 მუხლის მე-10 პუნქტის თანახმად, აუდიტორი/აუდიტორული ფირმა ვალდებულია პროფესიული პასუხისმგებლობის დაზღვევის თაობაზე დაზღვევის ხელშეკრულების დადების, შეწყვეტის ან მასში ცვლილების შეტანის თაობაზე (მათ შორის, სადაზღვევო თანხის გაზრდის ან შემცირების შესახებ) აცნობოს სამსახურს ხელშეკრულების დადების, შეწყვეტის ან მასში ცვლილების შეტანიდან არაუგვიანეს 5 სამუშაო დღისა. „დაზღვევის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-2 მუხლის „ლ“ პუნქტის თანახმად, სადაზღვევო პოლისი არის მზღვეველის მიერ გაცემული ხელმოწერილი საბუთი მოწმობა დაზღვევის ხელშეკრულების შესახებ.

კანონის მე-13 მუხლის მე-6 პუნქტის თანახმად, აუდიტორი/აუდიტორული ფირმა ვალდებულია რეესტრში ასახული ნებისმიერი ინფორმაციის ცვლილების შესახებ შეატყობინოს სამსახურს ცვლილების შეტანიდან არაუგვიანეს 5 სამუშაო დღისა. ამავე კანონის 24-ე მუხლის მე-3 პუნქტის თანახმად, ამ კანონის IV თავით (რეესტრი) გათვალისწინებულ სარეგისტრაციო წარმოებასთან დაკავშირებული წესების დარღვევა გამოიწვევს აუდიტორისათვის/აუდიტორული ფირმისათვის რეგისტრაციის გაუქმებას ან საქმიანობის უფლების აკრძალვას ან/და პირის დაჯარიმებას 1 000 ლარამდე.

მოქმედი კანონმდებლობის გათვალისწინებით აუდიტორული ფირმა ვალდებული იყო დაზღვევის ხელშეკრულების დადებიდან/განახლებიდან 5 სამუშაო დღის ვადაში შეეტყობინებინა სამსახურისთვის, თუმცა შპს „აუდიტორული ფირმა FinLine“-ის მიერ აღნიშნული ინფორმაცია წარდგენილია ვადის დარღვევით - 2019 წლის 10 იანვარს. ზემოაღნიშნული მოთხოვნის დარღვევა იწვევს აუდიტორული ფირმის პასუხისმგებლობას.

„ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-12 მუხლის მე-8 პუნქტის „ვ“ ქვეპუნქტის და მე-10 პუნქტის, მე-13 მუხლის მე-6 პუნქტის, 24-ე მუხლის მე-3 პუნქტისა და „აუდიტორის/აუდიტორული (აუდიტური) ფირმის პროფესიული პასუხისმგებლობის დაზღვევის არსებითი პირობების და სადაზღვევო თანხის განსაზღვრის წესის დამტკიცების შესახებ“ ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის ზედამხედველობის სამსახურის უფროსის 2016 წლის 17 ოქტომბრის N12 ბრძანებით დამტკიცებული წესის მე-2 მუხლის მე-10 პუნქტის საფუძველზე,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. შპს „აუდიტორული ფირმა FinLine“ დაჯარიმდეს 100 ლარით;
2. ჯარიმის გადახდა გადაწყვეტილების ჩაბარებიდან 30 დღის განმავლობაში უნდა მოხდეს შემდეგ ანგარიშზე ჩარიცხვით: სახაზინო კოდი/ანგარიშის ნომერი 302003550;
3. დაევალოს სამსახურის შესაბამის თანამშრომელს გადაწყვეტილების ძალაში შესვლის შემდგომ ამ ბრძანების სამსახურის ვებგვერდზე 5 წლის ვადით გამოქვეყნების უზრუნველყოფა;
4. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს გაცნობიდან ერთი თვის ვადაში ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის საბჭოში (მის: ქ. თბილისი, გორგასლის ქ. N16) ან თბილისის საქალაქო სასამართლოში (მის: ქ. თბილისი, დ. აღმაშენებლის ხეივანი მე-12 კმ; N6).

იური დოლიძე

სამსახურის უფროსი

ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის ზედამხედველობის სამსახურის

